სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N01/23

პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება 26 02 01 გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი 15 იანვარი 2024 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ **სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **ვახტანგ ჟვანიას** სახით, მხარეთა შეთანხმების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „ტრენინგების ან/და სასწავლო კურსების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშულებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის N2418 განკარგულების საფუძველზე, მიმდინარე წლის 15 იანვრის №01/12841 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლისათვის **2024 წლის 15 იანვრიდან 2024 წლის 23 იანვრის ჩათვლით პერიოდში („უნივერსალური ტრენინგი") სატრენინგო მომსახურების გაწევა ხარჯთაღრიცხვის (2 ფურცელი) და დღის წესრიგის - დანართი N2-ის (16 ფურცელი) შესაბამისად (CPV80500000 - სატრენინგო მომსახურება).**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სატრენინგო მომსახურება. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და ერთეულის ფასები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (2 ფურცელი) და დანართი N2-ში (16 ფურცელი) რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით - ლარით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 18805.54 (თვრამეტი ათას რვაას ხუთი ლარი და 54 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3.ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

4. მომსახურების ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადები განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

4.3. მომსახურების გაწევის ადგილია: **სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1.**

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება (მომსახურების) მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ შემსყიდველის მხრიდან - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი, ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურდება შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ფაქტიური მიწოდება, ხოლო შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადასტურება მოხდება ინსპექტირების აქტით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი, ინსპექტირების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში).

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

6.6. მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.3. ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამთავრების მეორე დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო.

6.7. დაფინანსების წყარო: **2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს მომსახურების ხარისხის და ღირებულების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება განახორციელოს ხარისხიანად;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია.

დ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2. მომსახურების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2024 წლის 31 მარტის** ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.5. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.

10.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით, მიზეზის მითითებით, ან სატელეფონო შეტყობინებით, რომელიც უნდა დაადასტუროს შემდგომ წერილობითი ფორმით.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი.

12.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების მოცულობა და აღმოჩენილი ნაკლი.

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი ან/და სატელეფონო შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა)მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) უხარისხოდ ხორციელდება მომსახურების გაწევა მიმწოდებლის მიერ;

დ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;
ე) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.
13.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შედგენილ უნდა იყოს მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის N18 საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223 სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N1 საიდენტიფიკაციო კოდი: 204423230 ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი: 707997153 დირექტორი
/იულონ ბაბალაძე/	/ვახტანგ ჟვანია/

SPECIAL PENITENTIARY SERVICE
Digitally signed by SPECIAL PENITENTIARY SERVICE
Date: 2024.01.15 15:14:25 +04'00'

LEPL Training Centre of Justice of Georgia
Digitally signed by LEPL Training Centre of Justice of Georgia
Date: 2024.01.15 15:21:50 +04'00'

LEPL Training Centre of Justice of Georgia

Digitally signed by LEPL Training Centre of Justice of Georgia
Date: 2024.01.12 20:11:16 +04'00'

ხარჯთაღრიცხვა

დამკვეთი: სპეციალური პენიტენციური სამსახური

თარიღი: 2024 წლის 15-23 იანვარი.

ტრენინგის თემა: საორიენტაციო პროგრამა სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის.

მონაწილეთა რაოდენობა: 1 ჯგუფი, 13 მონაწილე.

დღეების რაოდენობა: 9 დღე, 56 საათი.

ჩატარების ადგილი: სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

-	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	35	100	3500
2	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	5	85	425
3	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	17	75	1275
4	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	1.5	50	75
5	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	1.5	40	60
6	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	3.5	35	122.5
7	აუდიტორიის ღირებულება	დღე	9	297	2673
8	საკანცელარიო	ცალი	13	9.00	117
9	ყავა-შესვენება ჯგუფზე	დღე	9	178.5	1606.5
10	ლანჩი ჯგუფზე	დღე	9	261.1	2349.9

11	სერთიფიკატი	ცალი	13	4.25	55.25
12	**ჯამი**				12259.15
13	**ჯამი ტრენინგის ადმინისტრირების ხარჯის ჩათვლით**				**15936.90**
14	**დღგ 18%**				**2868.64**
15	**ჯამი**				**18805.54**

დანართი N2

უნივერსალური ტრენინგი
სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის

საბაზო საორიენტაციო პროგრამა

პროგრამის აღწერა:	საორიენტაციო ტრენინგი წარმოადგენს საბაზო საორიენტაციო პროგრამას, რომელიც განკუთვნილია სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა პროფილის ახალი და არსებული თანამშრომლის გადამზადებისთვის.
პროგრამის მიზანი:	სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ეთიკის სტანდარტებისა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის პირობების შესახებ. ყველა თანამშრომელს თავისუფლების აღკვეთის კონცეფცია მსგავსად ესმოდეს.
პროგრამის ძირითადი თემები:	1. სახელმწიფოებრივი აზროვნება - საზოგადოებრივი უსაფრთხოება 2. სპს სამართლებრივი ფორმა და სტრუქტურა. 3. მონიტორინგი და პერსონალური მონაცემების დაცვა; 4. პენიტენციური სტრესის მართვა და ემპათია. 5. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; 6. პენიტენციური შემთხვევის მართვა და პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიები. 7. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; 8. აღდგენითი მართლმსაჯულება; 9. სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ სისტემაში და პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები; 10. კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა; 11. სუიციდის პრევენცია; 12. კრიმინალური იერარქიები და მათი დახასიათება;
ტრენერები:	იუსტიციის სასწავლო ცენტრის შიდა და მოწვეული ტრენერები
პროგრამის გავლის წინაპირობა:	არ აქვს
პროგრამის შედეგების შეფასება:	სსიპ ,,საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სტანდარტის გათვალისწინებით, ტრენინგის ბოლოს მონაწილეები შეავსებენ **უკუკავშირის კითხვარს,** სადაც შეეძლებათ დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება ტრენინგის სხვადასხვა კომპონენტთან დაკავშირებით და შეაფასონ ტრენინგის ეფექტიანობა. თავის მხრივ, ტრენერები ამზადებენ რეკომენდაციას ჯგუფზე. ზოგიერთი ტრენინგის შემთხვევაში, გათვალისწინებულია **პრე–პოსტ ტესტირება.**

მონაწილეთა სერტიფიცირება:	სსიპ ,,საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის" სტანდარტის გათვალისწინებით, სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ იმ მონაწილეებზე, რომლებიც დაესწრებიან ტრეინინგის სრული ხანგრძლივობის, სულ მცირე, 75%-ს.
ხანგრძლივობა:	56 სთ. / 9 დღე
ტრენინგის ადმინისტრირების ადგილი:	იუსტიციის სასწავლო ცენტრი (ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №1)

	დღის წესრიგი
	15 იანვარი
10:00–17:00	**თემა 1. სახელმწიფოებრივი აზროვნება**
7 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა
	<u>ტრენერი:</u> ნანა მჭედლიძე
	- შესავალი, მოდულის წყაროების (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) რელევანტური გადაწყვეტილებების და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) შესაბამისი სტანდარტების, მათი ძალისა და შედეგების მონაწილეთათვის გაცნობა განსახილველ უფლებებთან მიმართებით.
	- სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება
	- ბავშვის უფლებები
11:30-12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
	- სამართლიანი სასამართლოს უფლება
	- პირადი და ოჯახური ცხოვრების, კორესპონდენციის დაცულობის უფლება
	- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
13:30-14:30	**სადილის შესვენება**
	- გამოხატვის თავისუფლება
	- საარჩევნო უფლება
	- შრომის უფლება
15:50-16:00	**შესვენება**
	- განათლების უფლება
	- თანასწორობის უფლება
	· დისკრიმინაციის ნიშნები;
	· მოწყვლადი ჯგუფების კატეგორიები.
17:00	**პირველი სატრენინგო დღის დასასრული.**

	დღის წესრიგი
	16 იანვარი
10:00–17:00	**თემა 2. სპს სამართლებრივი ფორმა და სტრუქტურა.**
7 სთ	ტრეინინგის ხანგრძლივობა
	I სესია:
	<u>ტრენერები:</u> ნიკა აბრამიშვილი, თამაზ მაჩიტიძე
	მისალმება, გაცნობა
	პრაქტიკული სავარჯიშო
	სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბება/განვითარების (სტადიები)
	საქართველოს თანამედროვე პენიტენციური სისტემა
	პენიტენციური სამსახურის საქმიანობის მიზანი
	პენიტენციური სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები
	პენიტენციური სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები
11:30 -12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
12:00	**II სესია:**
	<u>ტრენერები:</u> თამაზ მაჩიტიძე; ნიკა აბრამიშვილი
	პენიტენციური სამსახურის ამოცანები
	პენიტენციური სამსახურის ფუნქციები
	პენიტენციური სამსახურის სტრუქტურა
	სამსახურის თანამდებობის პირები
	პენიტენციური სამსახურის დანაყოფები: სპეციალური, სამოქალაქო
	პენიტენციური დაწესებულებების სახეები
	თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

13:30 – 14:30	**სადილის შესვენება**
14:30	**III სესია:**
	ტრენერები: თამაზ მაჩიტიძე; ნიკა აბრამიშვილი
	პენიტენციური სამსახურის როლი მართლწესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში
	სასჯელის აღსრულების ძირითადი ამოცანები და მიზნები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
	პენიტენციური სამსახურის თანამშრონლობა ძალოვან სტრუქტურებთან
	თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებისა და გათავისუფლების საფუძვლები, სასჯელის
	მოხდის პირობები პენიტენციურ დაწესებულებებში
	უსაფრთხოების ღონისძიებები და მათი გამოყენების საფუძვლები
	პენიტენციური დაწესებულებების დროებითი დატოვების პირობები
	თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლების საფუძვლები და პირობები
	პრაქტიკული სავარჯიშო
15:50-16:00	**შესვენება**
	IV სესია:
	ტრენერები: ნიკა აბრამიშვილი, თამაზ მაჩიტიძე
	პროფესიული ეთიკა
	პასუხისმგებლობის სტანდარტი
	მოსამსახურის უფლებები და ვალდებულებები
	მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახეები
	დისციპლინური სახდელის სახეები
	დისციპლინური სახდელების შეფარდებისა და გამოყენების წესი
	მოსამსახურის წახალისების ფორმები

	დისციპლინური სახდელების მოხსნის წესი
	პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი
	მოსამსახურეთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები
	პირადი პასუხისმგებლობა
	ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოპყრობის ეთიკა
	V სესია:
	<u>ტრენერები:</u> ნიკა აბრამიშვილი, თამაზ მაჩიტიძე
	პრაქტიკული სავარჯიშოები
	ტრეინინგის შეჯამება
17:00	**ტრეინინგის დასასრული**

	დღის წესრიგი
	17 იანვარი
10:00-17:00	**თემა 8. სუიციდის პრევენცია**
1:30 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა.
	<u>ტრენერი:</u> გვანცა კამლაძე
	ტრენინგის მიზნების და დღის წესრიგის გაცნობა;
	გაცნობის სავარჯიშო
	სუიციდის ტერმინთა განმარტება
	სუიციდის ეპიდემიოლოგია სისტემური მიმოხილვის და მეტა-ანალიზის - ციხეებში სუიციდის რისკის ფაქტორები (Shaoling Zhong*, Morwenna Senior*, Rongqin Yu, Amanda Perry, Keith Hawton, Jenny Shaw, Seena Fazel The Lancet, Mar 2021, Volume 6Number 3e136-e191) პრეზენტაცია
	გონებრივი იერიში - რა შეიძლება იყოს თვითმკვლელობის გამაფრთხილებელი ნიშანი?
	პრეზენტაცია - სუიციდის გამაფრთხილებელი ნიშნები;
	პრეზენტაცია - სუიციდის პრევენციის პროგრამა (ზოგადი აღწერა/ბენეფიციარის მოძრაობის ტრაექტორია პროგრამაში)

	უკუკავშირი/შეჯამება
11:00-12:00	**სადილის შესვენება**
12:00	**თემა 9. კრიმინალური იერარქიები და მათი დახასიათება**
1:30	ტრენიგსი ხანგრძლივობა
	ტრენერი: დიმიტრი კერესელიძე
	კრიმინალური სამყარო, როგორც იერარქიული ქვეჯგუფი, სტატუსი და მისი განსხვავებული ფასეულობები, კონტრკულტურა.
	კრიმინალური სამყაროს ანტისახელმწიფოებრივი, ანტისოციალური ხასიათი.
	კრიმინალური სამყაროს აგრესიული ხასიათი, მისი ატრიბუტიკა (დამნაშავეთა სამყაროს ენა, ჟარგონი, ,,კლიჩკა'' ტატუირება
	საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინალური ორგანიზაციები და მათი მოკლე მიმოხილვა.
	ე.წ. ,,კანონიერი ქურდი'' მისი წარმოშობის ისტორია და ,,განვითარების '' ეტაპები.
	კრიმინალური სამყარო საქართველოს უახლეს ისტორიაში.
	პენიტენციურ სისტემაში კრიმინალურ პირთა წრის არასასურველი ზეგავლენა და მასთან ბრძოლის მეთოდები: ა) კრიმინალური სუბკულტურის პატიმართა კომპრომენტაცია. ბ) ჯგუფების შექმნაში ხელის შეშლა, დიფერენცირება განთავსების ადგილების მიხედვით. გ) გარესამყაროსთან ისეთი კავშირების ბლოკირება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოებას.
13:30-14:30	**სადილი შესვენება**
14:30	**თემა 6. მონიტორინგი და პერსონალური მონაცემების დაცვა**
3:30 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა

	ტრენერი: ნინო ქურასბედიანი
	რა არის პერსონალური მონაცემები და რატომ არის მათი დაცვა მნიშვნელოვანი;
	მონაცემთა დაცვის საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტები (მათ შორის, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის (GDPR) ძირითადი სიახლეები; ევროპის საბჭოს მოდერნიზებულია კონვენცია 108+);
	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო.
	პრაქტიკული მაგალითების განხილვა
	მონაცემთა დამუშავების პროცესის შემადგენელი ელემენტები.
	მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპები.
	მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები.
	განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი.
	პრაქტიკული მაგალითების განხილვა
	ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესები.
	მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები და მიზნები.
	მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობები.
	მონაცემთა უსაფრთხოება და ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
	მონაცემთა დამუშავების და უფლებამოსილი პირის ვალდებულებები მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებით;
	კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსი;
	პრაქტიკული მაგალითების განხილვა
	წამების საწინააღმდეგო კომიტეტი
18:00	**სატრეინინგო დღის დასასრული.**

	დღის წესრიგი
	18 იანვარი
10:00–17:00 7 სთ	**თემა 12. სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ სისტემაში და პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები**
	<u>ტრენერი:</u> გიორგი ჩიდრაშვილი
10:00	**სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ სისტემაში:**
	პენიტენციური ჯანდაცვის მნიშვნელობა; ჯანმრთელობის ცნება და ჯანმრთელობის დეტერმინანტები;
	პენიტენციური ჯანდაცვის სპეციფიკა და მისი ძირითადი პრინციპები;
	სამედიცინო სამსახური პენიტენციურ სისტემაში - სტრუქტურა და სერვისები;
	ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებები სამედიცინო მომსახურებაზე;
	პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტი;
	ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები პენიტენციურ სისტემაში;
11:30-12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
12:00	**პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები:**
	პრე-ტესტი;
	პირველადი გადაუდებელი დახმარების მნიშვნელობა;
	პირადი უსაფრთხოების ღონისძიებები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;
	გულ-ფილტვის რეანიმაცია: სასუნთქი და გულ–სისხლძარღვთა სისტემები; DR CAB ალგორითმი; შემთხვევის ადგილის შეფასება, მეორადი დაზიანების პრევენცია; სასიცოცხლო მნიშვნელობის მანევრები: ცნობიერების შეფასება, გულის გაჩერების ამოცნობა, გულის არაპირდაპირი მასაჟი, სასუნთქი გზების გახსნა, ხელოვნური სუნთქვა (ვენტილაცია), სრული გფრ; უსაფრთხო პოზიცია;
13:30-14:30	**სადილის შესვენება**

14:30	**პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები:**
	გულ-ფილტვის რეანიმაცია - სასიცოცხლო მნიშვნელობის მანევრები: ცნობიერების შეფასება, გულის გაჩერების ამოცნობა, გულის არაპირდაპირი მასაჟი, სასუნთქი გზების გახსნა, ხელოვნური სუნთქვა (ვენტილაცია), სრული გფრ; უსაფრთხო პოზიცია;
	პრაქტიკული მეცადინეობა გფრ მანეკენის გამოყენებით;
15:50-16:00	**შესვენება**
16:00	**პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები:**
	სისხლდენა და მისი შეჩერება: სისხლდენის ტიპები და სახეები; გარეგანი სისხლდენის შეჩერების ტექნიკები; პრაქტიკული მეცადინეობა - გარეგანი სისხლდენის შეჩერება მანეკენის გამოყენებით;
	ცხვირიდან სისხლდენა - ცხვირიდან სისხლდენის შეჩერების ტექნიკა;
	უცხო სხეული სასუნთქ გზებში: მსუბუქი და მძიმე ობსტრუქციის ამოცნობა; პირველადი დახმარება მოხრჩობის დროს.
	პოსტ-ტესტი.
	ტრენინგის შეჯამება.
17:00	**სატრენინგო დღის დასასრული.**

	დღის წესრიგი
	19 იანვარი
10:00–17:00	**თემა 11. კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა**
7 სთ	
	<u>ტრენერი:</u> ნინო ტყეშელაშვილი
10:00	I სესია: ეფექტიანი კომუნიკაცია
	ეფექტიანი კომუნიკაციის საჭიროება და მნიშვნელობა პროფესიულ საქმიანობაში
	საუბრის მართვის ტექნიკები: აქტიური მოსმენა, შეკითხვების დასმა
11:30-12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**

	ნეგატიური ინფორმაციის გადაცემის ტექნიკები
13:30-14:30	**სადილის შესვენება**
	გუნდური მუშაობა I
	გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჯგუფში და როლების განაწილება;
15:50-16:00	**შესვენება**
	გუნდური მუშაობა II
	ჯგუფური შეჭიდულობის ფაქტორები და მისი განვითარება ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებში.
17:00	**პირველი სატრენინგო დღის დასასრული.**

	დღის წესრიგი
	20 იანვარი
10:00-17:00	**თემა: 10. პენიტენციური სტრესის მართვა და ემპათია.**
7 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა
	ტრენერი: თინა ბანძელაძე
10:00	**<u>I სესია:</u>** პენიტენციურ სამსახურთან დაკავშირებული გამოწვევები და ამოცანები
	პენიტენციურ სამსახურში სტრეს-ფაქტორების განსაზღვრა და მათი კლასიფიკაცია. არაკონტროლირებადი ფაქტორების გამოყოფა და მათზე მუშაობა;
11:30-12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
12:00	**<u>II სესია:</u>** სტრესული ემოციების განსაზღვრა და მათი მექანიზმების გავლენა თანამშრომელზე;
13:30-14:30	**სადილის შესვენება**
	<u>III სესია:</u> რთული ემოციების და არაკონტროლირებადი სტრეს-ფაქტორების ემოციური რეგულაციის მეთოდები;
15:50-16:00	**შესვენება**
16:00	**<u>IV სესია:</u>** კონტროლირებადი სტრესორების განსაზღვრა.
17:00	**სატრენინგო დღის დასასრული**

	დღის წესრიგი
	21 იანვარი
10:00–17:00	**თემა 5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.**
4 სთ	ტრენიგსი ხანგრძლივობა
	<u>ტრენერი:</u> ალექსანდრე იაშვილი
10:00	**ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები:**

	ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში;
	ბავშვის უფლებათა კონვენცია;
	სხვა ძირითადი საერთაშორისო აქტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში;
	ძირითადი უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში (საერთაშორისო აქტები და საქართველოს კანონმდებლობა შერეული თემა);
	არასრულწლოვანი პატიმრები;
11:30-12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება:
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ისტორია საქართველოში;
	სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში;
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპები;
	არასრულწლოვანთა პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები;
13:30-14:30	**სადილი/შესვენება**
14:30	**თემა 7. აღდგენითი მართლმსაჯულება**
1:30 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა.
	ტრენერი: კობა (მორის) ზარამია
	აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებთან დაკავშირებული ისტორიული საკითხები საერთაშორისო თვალსაზრისით;
	აღდგენითი მართლმსაჯულების დეფინიცია საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე;
	აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების გამოყენების ბენეფიტები;
	აღდგენითი მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება;
	აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპები;
	აღდგენითი მართლმსაჯულების გავრცელებული პროგრამები;
	მედიაცია დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის (სისხლის სამართლის მედიაცია);

	სისხლის სამართლის მედიაციის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში და გამოცდილება პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე.
16:00	**სატრეინინგო დღის დასასრული.**

	დღის წესრიგი
	22 იანვარი
10:00–17:00	**თემა 4. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია**
6 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა
	ტრენერი: ინგა სარჯველაძე
10:00	**სარეაბილიტაციო მომსახურებები:**
	სასჯელის მიზნები და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის თეორია;
	პატიმრობის ეტაპები და ცვლილების შესაძლებლობა;
	სარეაბილიტაციო მომსახურებები;
	გათავისუფლებისთვის მომზადება და გარდამავალი მენეჯმენტი;
11:30-12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
12:00	**წამალ დამოკიდებულება/საკნის გარე აქტივობები:**
	წამალ დამოკიდებულება: ი ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია; ი ზიანის შემცირება; ი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.
	სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.
	საკნის გარე აქტივობები - პატიმართა შრომა (მ.შ. ინდივიდუალური საქმიანობა და ხელნაკეთი ნივთების შექმნა).
13:30-14:30	**სადილის შესვენება**
14:30	**გენდერი და ქალთა მიმართ ძალადობა:**
	გენდერი და ფემინიზმი;
	ქალთა მიმართ ძალადობა: ი ქალთა მიმართ ძალადობის ფენომენი; ი ძალადობის სახეები; ი ფემიციდი; ი მოძალადეთა ქცევის კორექცია; ი მსხვერპლთა მხარდაჭერა.

16:00	**სატრენინგო დღის დასასრული.**

	დღის წესრიგი
	23 იანვარი
	თემა 3. პენიტენციური შემთხვევის მართვა და პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიები.
3:30 სთ	ტრენინგის ხანგრძლივობა
	<u>ტრენერი:</u> ნანა ქორიძე
10:00	**მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და შემთხვევის მართვა:**
	რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და მისი მნიშვნელობა;
	დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკა, სპეციალისტების როლი/ფუნქციები;
	რისკისა და საჭიროებების შეფასება: სტატიკური და დინამიკური ფაქტორები;
	შემთხვევის მართვა, არსი, მიზანი, ეტაპები;
	შემფასებლის როლი და შეფასების წყაროები;
11:30 -12:00	**ყავა/ჩაი შესვენება**
	ქალები;
	შშმ პატიმრები;
	ხანდაზმული პატიმრები;
	არასრულწლოვნები
	გრძელვადიანი და უვადო პატიმრები;
	უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პატიმრები; ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები;
	გრძელვადიანი და უვადო პატიმრები;
13:30	**სადილი**

KA010151978275524

№01/12841 15 / იანვარი / 2024 წ.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკა
ცხვარაშვილს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
თეონა ბაბუნაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკა,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 15-23 იანვარს სსიპ იუტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლებისათვის დაგეგმილია ტრენინგი - „ უნივერსალური ტრენინგი" , რომელიც ჩატარდება: სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ (მის.: ანა პოლიტკოვსკაიას N1, თბილისი).

გიგზავნით ზემოხსენებული ტრენინგის ხარჯთაღრიცხვას და დღის წესრიგს.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

დანართი: 18 (თვრამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად თეონა ბაბუნაშვილი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2418 2023 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

ტრენინგების ან/და სასწავლო კურსების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, იუსტიციის სახლის, საქართველოს ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნის, ციფრული მმართველობის სააგენტოს, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ ტრენინგების ან/და სასწავლო კურსების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები სსიპ –

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისგან განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**